წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | შაბათი 22 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ; ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონის . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადებები ღირს უფრო ორჯერ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამ სტრიქონისა . . . მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 11 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 11

კვირას, ოცდა სამ აპრილს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ირინე ბესარიონის ასულის

ბებელაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი შვილები ელენა დარჩოშვილისა, იასონი, კოლია, ისიდორე და გრიშა.

2—1

ოთხშაბათს, 25 აპრილს ქ. ქუთაისში დანიშნულია

ახალგაზრდობის საგუბერნიო კრების ბიუროს ხელმძღვანელობით

**სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობის** (სტუდენტებისა და საშ. სასწ. მოწაფეების)

## კონფერენცია.

შენიშვნა: კონფერენციაში დაესწრება ორ-ორი დელეგატი არა ადგილების მიხედვით, არამედ იმ სასწავლებლის მიხედვით, სადაც პარტიული ორგანიზაცია არსებობს, განურჩევლად სქესისა. დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს პარტიული მანდატი. ბინის შესახებ იკითხეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

კონფერენციის მომწყობი კომისია.

სატახტო ქალაქის ცირკი მმ. ეფიმოვების

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

პარასკევს, 21 და შაბათს, 22 აპრილს ნაჩვენები იქნება საუცხოვო საგასტროლო წარმოდგენა. ქუთაისში პირველად რუსეთის და საზღვარ გარეთის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. დღეს პირველი გასტროლი ცნობილ ატრაქციონის

მფრინავი ხალხისა რომელსაც 4 ეშმაკი ეწოდება.

სენსაციური სანახაობა. საცირკო ხელოვნების უკეთესი ნომრები, პირველ ხარისხოვანი ანსამბლი დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** ამ დღეებში მოხდება იაპონიის სასახლის მიმაკიდოს ცნობილ ტრუპის ბენეფისი, თავის პრემიერ ბ-ნ იამადასანის ხელმძღვანელობით.

მობენეფისეები ამზადებენ მრავალ გასაკვირალ ახალ სანახაობას.

**ანონსი:** კვირას ორი წარმოდგენა დღით და საღამოს. ბილეთების ფასი მეტად დაკლებულია, 25 კაპ. 1 მან. საღამოთი წარმოდგენა იქნება მხოლოდ ბავშვებისთვის.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. **დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!** პოლიტიკურ მომენტის კინო ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო ამპირ თეატრი

20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფლებას! პოლიტიკურ მომენტის კინო-ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

შაბიამანი

და საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე იყიდება „კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.

თფილისი, ოლღას ქუჩა № 70. 6 5

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 აპრილს ამა წლისა მოხდება ბანკში

ვაჭრობა უძრავის ქონებისა,

რომელიც ეკუთვნოდა თ-დ გიორგი დავითის ძე წერეთელს და რომელიც მდებარეობს დაბა საჩხერეს, შორაპნის მაზრაში, და შეიცავს ერთ ნაკვეთ ადგილს, ზომით თორმეტი ქცევა, შენობით. ვაჭრობა დაიწყება 23000 მანეთიდან. ცნობა მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ გამგეობისაგან. 2—1

## დღეს:

**წერილები:**

ნ. ლორთქიფანიძე—გლეხი და თავისუფლება.

ვასილ. წერეთელი—არჩევნების თავისუფლება.

ი. იმერელი—მივხედოთ საჩხერის ქართველ ისრაელებს.

რვა საათის სამუშაო დღე.

Ser.—ომი და ლოზუნგი.

**ცნობები:**

დეპეშები: რევოლიუციის ამბები.

ომის დეპეშები.

უცხოეთი.

ზღვის გარშემო.

ბრძოლის ველიდან მოწერილი ამბები.

რუსეთი.

თეატრი და ხელოვნება.

ქუთაისის და თბილისის ქრონიკა.

## მოწოდება.

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშაოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

## განცხადება.

ვაჭარმა გერმანე სულაბერიძემ

მიიღო რამდენიმე ვაგონი დაბალიხარ. **სიმინდი,** რომელიც გამოდგება საქონლის საკვებად. ფასი ფუთი 1 მ. და 40 კაპ. ადრესი: ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა. 6-2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

## გლეხი და თავისუფლება.

თავისუფლების უეცრად მოპოების შემდეგ გულს სიღრმიდან ამოსკდა: „ძირს“ და „გაუმარჯოს“...

სულიერი მოთხოვნილება იყო ეს ძახილი; მაგრამ რაც უფრო მალე გრძნობას გონებით შევბოჭავთ, მით უფრო მოგებული დავრჩებით—

დანგრეული მილაგ-მოლაგებას თხოულობს, ძველის ნანგრევებზე ახალის აშენებაა საჭირო.

აშენებით კი მშვიდი, წყნარი შრომა თუ ააშენებს. თორემ მარტო მიტინგები, სიტყვები, წერა, და მით უმეტეს ერთმანეთის გაქიქება უვარგისი საშვალებაა.

ქართველების უმრავლესობა სოფელში სცხოვრობს.

ეს სოფელი, უმრავლესად ქართველი მოლვაწის ასპარეზი.

რა უნდა გაკეთდეს დღეს სოფლად?

ის, რაც შესახედავათ ძლიერ მცირეა, უფერულია, მაგრამ ის, რაც ფუძეა სახელმწიფოსი და უკეთესის მომავალისა:

კულტურული შრომა.

აი ეხლავე, დღესვე უნდა ვაჩვენოთ შეურყეველი საბუთით, თუ რა არის თავისუფლება, თუ რა მიზნით იწვევდა მოწინავე საზოგადოება სოფელს, მხარი დაეჭირა მისთვის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

სოფელში ძლიერ ნაკლებათ პატივცემული იყო ადამიანის პიროვნება.

თუ სოფელში ცხოვრებდა მღვდელი, მასწავლებელი, მსხვილი მემამულე, მათ პატივს კი არ სცემდინ, არამედ ერიდებოდენ, ცალფერთხოდენ ზოგჯერ ეშინოდათ, როგორც რაღაც უცხო საიდუმლო სხეულს—სრულიად მათთვის შეუსაბამოსა და შეუფერებელს; ერთმანეთში კი გლეხობა—სამწუხაროთ!—ჭხედავდა მხოლოდ საგანს ზოგჯერ სასარგებლოს, ზოგჯერ მავნეს; ზოგჯერ, საყვარელს ზოგჯერ საზიზღარს; მაგრამ ადამიანური პატივის ცემა ჩვენში მეტად იშვიათია, უცნობი ხილია.

განსაკუთრებულად ქალია ჩვენ სოფელში პატივაყრილი.

ჯერ კიდევ მისი გათხოვება უფრო ყიდვა-გაყიდვის პროცესს მოაგონებს მეთვალყურეს, ვიდრე ორი ადამიანის ოჯახის დასაარსებლათ შეუღლებას.

იქნებ გვითხრან რუსეთში უარესიაო, მაგრამ ეს ცუდი ნუგეშია.

ეხლავ უნდა შევქმნათ პირობები, რომელნიც აშკარათ დაანახვებენ, რომ „ადამიანი—უწმინდესი სახელია“.

ჩვენ უნდა შევაგნებინოთ ხალხს, რომ სიმდიდრე—სიღარიბისა, ცოდნა—უმეცრებისა, სილამაზე—სიმახინჯის გარეშე არის ასახსნელათ ძნელი, მაგრამ ყველასთვის გასაგები ღირებულება:

ა დ ა მ ი ა ნ ი.

და გარდა სიყვარულისა, მეგობრობისა, თაყვანისცემისა ამ ადამიანს შეფერის პატივისცემა.

ეს პატივისცემა გამოიხატება მისი რწმენის, აზრის, სატყვის პატივისცემაში.

არავის მიეტოვება ახლად გაფურჩქვნილ თავისუფლებას ლაფი დაასხას, ვისიმე რწმენის ტლანქად შებღალვით.

ნათქვამი სრულიად არ ნიშნავს, რომ კაცმა ხელი აიღოს სარწმუნოების კრიტიკაზე; მაგრამ ამ კრიტიკას თან უნდა სდევდეს ის მაღალი ცოდნა საგნისა და სათუთი მოპყრობა, რომელიც მოეთხოვება დოსტოქარს დიდი ოპერაციის მოხდენის დროს.

ჩვენი სოფელი მიჩვეული იყო, რომ მის აზრს ყურადღებას არვინ აქცევდა.

გადასახადი უსიტყვოთ უნდა შეეტანა დანიშნულ მოხელესთვის მორჩილად ემსახურნა, გზები ბრძანებით შეეკეთებია...

ადვილია გლეხზე არა თუ ახალმა მოხელემ და პოლიტიკურმა პარტიამ, კერძო პირმაც კი იქონიოს ისეთი გავლენა, რომ ხმა არ ამოაღებიოს და თავის სურვილზე არ არონინოს; აკი ვთქვი—მიჩვეულია—მეთქი! მაგრამ თუ მართლა ჩვენ გლეხის ბედნიერება გვაინტერესებს, უნდა ვეკადოთ ავამეტყველოთ იგი, მასვე გადავაწყვეტინოთ მისი საქმეები; მასვე ავარჩევინოთ მისთვის საჭირო და სანდო პირები; და არამც და არამც ჩვენ ჩვენის ავტორიტეტით, ხერხით არ ვისარგებლოთ, რათა გლეხთა სურვილი ჩავკლათ და ჩვენი გავიტმნოთ.

გლეხი ჯერ არც კი გვანდობს თავის გულის ნადებს; დიდხანს გულ-ჩათხრობილი იქნება იგი; იგი შეპყრობილია იმ აზრით, რომ ახალი წყობილებაც, ახალი კაცებიც ძველებურათ მოინდომებენ თავის ნებაზე იმოქმედონო და ხალხს თავზე მოახვიონ პირადი სურვილებიო.

აი ასეთს წუთებში ჩვენ უნდა ჩავხედოთ მის დანაოჭებულს სახეს და მის მარად დაღვრემილს თვალებში ვეცადოთ ამოვიკითხოთ ნამდვილი ნებისყოფა გლეხისა.

ერთი—ორი ასეთი ცდა მართლაც გაუხსნის ბაგეთ და მრავალს გავიგონებთ ძლიერ, ძლიერ ჩამაფიქრებელს.

თუ პირველ ხანებში შეგვატყო, რომ იგი სწორუფლებიანი ადამიანი კი არ არის, არამედ ძველებურათ მხოლოდ მოხარკეა, იძულებით ამსრულებელი სხვათა სურვილებისა, დიდი ხნით დავადუმებთ გლეხს და მოვიკლებთ მეგობარს და კულტურის წინ წამწევ ძალებს.

ნ. ლორთქიფანიძე.

## საარჩევნო თავისუფლება.

მოქალაქენო! დაიცავით საარჩევნო თავისუფლება.

არჩევნები უნდა იყოს: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი.

საფრანგეთში ადმინისტრაციას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქოსა და პოლიტიკურ არჩევნებში, რომ ბოროტად არ მოიხმაროს თავისი ძალა და გავლენა.

საარჩევნო ხმა—თავისუფალი მწერლობის შედეგი უნდა იყოს.

ამიტომ იქ, სადაც არჩევნები წარმოებს, არც ერთმა მხარემ არ უნდა მოიხმაროს შეიარაღებული ძალა. და, თუ კი ეს მოხდა, არჩევანი უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

საარჩევნო თავისუფლება გულისხმობს სიტყვისა და კრების თავისუფლებას. საჭიროა წინასწარი მოლაპარაკება და ბჭობა. ამიტომ, როდესაც ერთი მოქალაქე სიტყვის თქმის უფლებასართმევს მეორე მოქალაქეს, ეს—სამოქალაქო თავისუფლების უარყოფაა.

მაშ, მოქალაქენო, ნურავის გაათელვინებთ თქვენს სამოქალაქო უფლებათ, ე. ი. არჩევნების, სიტყვისა და კრების თავისუფლებას! იყავით თავისუფალ მოქალაქეებად, გიყვარდესთ თავისუფლება!

**ვახილ წერეთელი.**

---

## რუსული პრესა.

### ლენინი.

გაზ. „რუსკ. ვოლია" მეთაურ წერილს უძღვნის ლენინის ჩამოსვლას, იგი სწერს:

„არიან ადამიანები, რომელნიც საკუთარ თავმოყვარეობას და სახელს ანაცვალებენ ყველაფერს. ამბობენ, რომ ასე ხასიათდებოდა რუსეთის აწ გადაყენებული თვითმპყრობელი. ძალიანა ჰგავს მას ბ-ნი ლენინი, რომელიც ახლახან არა ჩვეულებრივის რიხით და სკანდალებით მოგვევლინა რუსეთში.

ყველას შეუძლიან საკუთარი აზრი და მსოფლ-მხედველობა ჰქონდეს, ეს თითოეულ პიროვნების სინდისის საქმეა. კაცი შეიძლება იყოს ანარქისტ-კომუნისტი, ჩვენი თანამემამულე კროპოტკინი ანარქისტ-კომუნისია, მაგრამ ვინ იპოვის რუსეთის შეგნებულ ნაწილში ისეთ პირს, რომელიც ღრმა პატივს არა სცემდეს კროპოტკინს. მაშასადამე საქმე იმაში კი არ არის, თუ რომელ რწმენას ეკუთვნის კაცი, არამედ პიროვნების კეთილშობილება და სიმაღლეა აქ მთავარი საგანი. თითოეულ პიროვნებისთვის, მით უმეტეს, თუ იგი საზოგადო მოღვაწეა, არსებობს განსაზღვრული სამოღვაწეო ფარგლები, რომლის იქით მას მოქმედება არ შეუძლია, თუ არ სურს, რომ ზნეობრივად მოკვდეს და ხალხისგან მძულვარება დაიმსახუროს.

ბ-ნმა ლენინმა გადალახა ეს ფარგლები და მით თავის ხელით მოსპო მისდამი ყოველივე ნდობა მისი გერმანიაზე გამოვლა ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის ნებართვით, რუსეთის ხალხისადმი მიმართული ნამდვილი ცინიზმის აქტია. შეიძლება კაცი იყო „ბოლშევიკი", კომუნისტი, ბ-ნ ლენინის რწმენისა, მაგრამ მთელი ხალხის წმიდათა წმიდის შეურაცხყოფა არ შეიძლება. ლენინმა მიაფურთხა რუსეთის ხალხს, რომლის შორისაც სცდილობს თავის გავლენის გავრცელებას. დღეს მას ეთიშებიან „ბოლშევიკები"-ც კი და მისი ყოფილი მოწაფენი. ლენინის გერმანიაზე გამოვლა სამარცხვინო, სინიდისის საქენჯნ საგნად გადიქცევა, თუ დაუკავშირებთ ერთმანეთს ემიგრანტებისა და მისს მოგზაურობას. ემიგრანტებს ზღვაში ღუპავდა გერმანიის წყალ ქვეშა, მხოლოდ ამ დროს ლენინი დიდი ზეიმით ნოემბერთებოდა რუსეთისკენ. რათა და რა მიზნით ჩამოვიდა ბ-ნი ლენინი? რათ მოაცილეს რუსეთის საზღვრებამდე ასე დიდი ამბით გერმანელებმა იგი? ჯერ კიდევ სადგურზე თავის თაყვანის მცემელთა მიგებების დროს ლენინმა ისტერიულად დაიყვირა:

„გაუმარჯოს სამოქალაქო ომს!" ეს სიტყვები, რომ ყველა მცხოვრებს გასაგებად გადავთარგმნოთ, ნიშნავს: „გაუმარჯოს პოგრომებს, გაუმარჯოს მძარცველობას, გაუმარჯოს ყოველგვარ ძალადობას. 17 ოქტომბრის მანიფესტი თვით მპყრობელურმა მმართველობამ სამოქალაქო ომით სისხლის მორევში ჩაახრჩო 1906 წ. საქმე დაღუპა აგრარულმა ამბოხებამ და ძარცვა გლეჯა-ძალადობამ. დამღუპველ სამოქალაქო ომის ლოზუნგს ბ-ნი ლენინი ამ ჟამად თავისუფალ რუსეთში ისვრის, მაგრამ საბედნიეროდ მას საზოგადოებამ ზურგი შეაქცია. ამ რამდენიმე დღის წინად ბ-ნი ლენინი ს. დ. კონფერენციაზე აცხადებდა, რომ სოციალ დემოკრატიული პარტია „დალპა", მას უთუოდ უნდა გამოეცვალოს სახელწოდება „სოციალ დემოკრატიული" და დაერქვას კომუნისტური, რომ არსებული დროებითი მთავრობა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები და თვით უმწიკვლო გაზ. „პრავდა" უვარგისნი არიან და უნდა დაემხოსო.

ამგვარად დღემდის რუსეთში რაც მომხდარა და გაკეთებულა, გაუსწორებელი შეცდომა ყოფილა და ლენინის გარდა ყველა უაზროდ ქვეყნის საზიანოდ იქცევა.

ხალხი ლენინის ამ თქმის მოსმენამ ძალზე ააღელვა. საზოგადოების უფრო ოპტიმისტურად განწყობილ ნაწილს სჯეროდა, რომ ლენინი იცხოვრებს რუსეთში, ყველაფერს გაეცნობა და თავის დროზე გონს მოვა. სკეპტიკური ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ ლენინს აწ გონს მოსვლა აღარ შეუძლიან.

ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ბ-ნი ლენინი გონს ვერ მოვა. ჩვენ ვურჩევთ ლენინს უკანვე გერმანიაში დაბრუნდეს, მას რუსეთში არაფერი საქმე აქვს და გერმანიაში კი უკეთესად დააფასებენ. რუსის ხალხი მას ზნეობრივად ვერ მიიღებს, მისი ლოზუნგი რუსეთისთვის დამღუპველია. ეხლა ჩვენთვის ცნობილია, თუ რათ გამოგზავნა ისეთი ზეიმით გერმანიამ ლენინი რუსეთში. შეგნებულად ხდება ეს. თუ შეუგნებლად, ლენინი ემსახურება გერმანიას, კონტრ-რევოლიუციას და არა თავისუფალ რუსეთს. ამ მხრივ მარკოვი მეორე და ლენინი ერთ ხაზზე არიან. მათ ორივეს ერთი სავალი გზა აქვთ—კონტრ-რევოლიუცია და რუსეთის დამხობა.

---

## თანამოაზრე ახალგაზდობის საყურადღებოთ.

ქუთაისის ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზდობამ გადასწყვიტა მოიწვიოს 25 აპრილს სრულიად საქართველოს თანამოაზრეთა პარტიული კონფერენცია. ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები და სტუდენტები განურჩევლად სქესისა. დელეგატთა დასწრების წესი მოსწავლეთათვის უკვე გამოცხადებულია „ჩვენს ქვეყანაში". რაც შეეხება სტუდენტებს, მათ დელეგატები არ სჭირიათ: ვინც კი მუშაობდა პარტიულ ორგანიზაციაში, ყველა დაუყონებლივ უნდა ჩამოვიდეს. კონფერენციის მომწყობთ აზრად აქვთ მოხდეს თანამოაზრე ახალგაზდობის ძალთა საბოლოო მობილიზაცია იდეური დისციპლინის დასამყარებლად და წარვსდგეთ უფროსი ამხანაგების მომავალ კონფერენციაზე საკუთარი მოხსენებებით. მაშ ნუ დააყოვნებთ ამხანაგებო!

P. S. ვსთხოვთ „საქართველო"-ს გადაბეჭდოს ეს მოწოდება და „ჩვენი ქვეყანაში" მოთავსებული განცხადებაც კონფერენციის შესახებ.

ყრილობის მომწყობი კომისია.

---

## რევოლიუციის ამბები.

(პ. ტ. ს.)

**მაისის დღესასწაული რუსეთში.**

პეტროგრადი. 18 აპრილი. დეპეშათა სააგენტომ მრავალი ცნობა მიიღო სხვა და სხვა ადგილებში თავისუფლების დღის დღესასწაულობის შესახებ ჯარისა, მოსწავლეებისა, მცხოვრებთა, პოლიტიკურ პარტიათა, ეროვნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ახლობელ გლეხთა და სამხედრო ტყვეების მონაწილეობით. სულიერი განწყობილება აღფრთოვანებული იყო. ყველგან შეურყეველი წესრიგი იყო დაცული. მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა, უკრავდა მუსიკის ორკესტრი იყო სიმღერები; წითელი დროშები ფრიალებდენ. სეპარატიულ ზავზე სიტყვები არა ყოფილა. ომის საწინააღმდეგო სიტყვებს მსმენელნი გულგრილად ხვდებოდენ. სატახტო ქალაქში მუშათა დღესასწაულს ნაკლები სიცოცხლე ეტყობოდა ვიდრე მაგალითად 23 მარტს რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს. სადღესასწაულო სულიერი განწყობილება არ სუფევდა, სახეები და სიტყვები სერიოზული იყო საერთო აღფრთოვანებას ურთიერთს აკვეცდა სხვა და სხვა რევოლიუციურ მიმართულებათა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შიში. ლენინის ლოზუნგებს თანაგრძნობას არ უცხადებდენ, ხოლო ლენინის მიმდევართა სიტყვებს მწყრალად ხვდებოდენ. ბევრი ორატორი თავის სიტყვას პოლემიკურ ხასიათს აძლევდა. ლენინის მიმდევართა გამოსვლის დროს ყვიროდენ: „კმარა"-ო. დროშებსა და პლაკატებზედაც კი ეწერა „ძირს ლენინი"-ო. ლენინს გარდა ორატორები ეხებოდენ ომსა და პროლეტარიატის დღესასწაულის მნიშვნელობას. მოუწოდებდენ მხარი დაეჭირათ დროებითი მთავრობისათვის და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებისთვის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

გუშინ ღამით ექვს უდიდეს საქალაქო მოედანზე 300 მეტი ტრიბუნა ამართეს. ტრიბუნებისთვის გამოიყენეს საბარგო ავტომობილები.

ბევრი ტრიბუნა იყო ამართული მარსის ველზე, აწ თავისუფლების მოედანზე. ტრიბუნები მორთული იყო დიდი პლაკატებით სათანადო წარწერებით. საფლავები ყვავილებით იყო მორთული. პროცესიებს საფლავებზე გვირგვინებიც მოჰქონდათ.

ხოლო მეორე დღეს დილით ადრე ხალხის ბრბო ქარხნებისა და კერძო დაწესებულებებიდან დროშებითა და ორკესტრებით თავს იყრიდა სარაიონო პუნქტებთან. 8 საათზე სარაიონო პროცესიები წინასწარ შემუშავებული გეგმით გაემართა დანიშნულ მოედნებისაკენ; ხალხის მეტმა ნაწილმა თავი მოიყარა მარსის ველზე, საცა უნდოდათ პატივი ეცათ საძმო სასაფლაოსათვის ბევრი ხალხი იყო სასახლის მოედანზე. ილაპარაკეს პლეხანოვმა, ლენინმა და სხვებმა. საზამთრო სასახლეში პლაკატი იყო გამოკრული, რომელზედაც ეწერა: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს." ეს პლაკატი გაკრული იყო იმ დივანზე, საიდანაც 1914 წ. 19 ივლისს ნიკოლოზ მეორემ ომი გამოუცხადა ავსტრიას. სათეატრო მოედანზე დაწყობილი იყო მარინეს თეატრისა და მუსიკალურ დრამის ორკესტრი და მგალობელი გუნდი. პროცესიებს მარსელიოზით ხვდებოდენ. პროცესიაში ყურადღებას იქცევდენ ეროვნული ჯგუფები თავისი დროშებით, თავის ენაზე წარწერებით და სიმღერებით. ფანტასტიური შთაბეჭდილება მოახდინა სარტების ჯგუფმა. ეროვნულ ჯგუფების აპოთეოსი იყო ხუთ ავტომობილში დალაგებული პროცესია; ავტომობილში ისხდენ რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნებათა ტანსაცმლებში გამოწყობილი პირები. საავტომობილო როტის ავტომობილი მორთული იყო მთელი ქვეყნის სახელმწიფოების ბაირაღებით. „გაუმარჯოს ინტერნაციონალ"-ის წარწერით. შთაბეჭდილება მოახდინა საქალაქო სასწავლებლების მოწაფეთა ბაირაღმა შემდეგი წარწერით: „გაუმარჯოს უფასო სწავლებას," გადმოხვეწილთა შვილების წარწერამ: „საშუალება მოგვეცით მალე დავბრუნდეთ შინ," მუშათა შვილების, წარწერამ: დაიცავით ბავშვების შრომა." სოციალისტური პარტიების ორატორები ავტომობილით გადადიოდენ ერთი ადგილიდან მეორეზე. სიტყვები წარმოსთქვეს პლეხანოვმა, ლენინმა, ჩერნოვმა, ჩხეიძემ სკობელევმა, დროებით მთავრობის წარმომადგენელმა კერენსკიმ. მოედანთ გარდა ქალაქის ყოველ ადგილას საჩქაროდ მართავდენ მიტინგებს. უფრო დიდი ორგანიზაციები მიტინგებს მართავდენ საზოგადო შენობებსა, თეატრებსა და კინემატოგრაფებში.

**მისალმების დეპეშები.**

პეტროგრადი. 19 აპრილი. დროებითმა მთავრობამ მისალმების დეპეშები მიიღო ყოფილ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან, აჯირეს რუსთა ახლო შენიდან, სარატოვის უნივერსიტეტისა, კურსკის აზნაურთა კრებისა და იურიევის (დორპატის) ესტონელ საზოგადო და სტუდენტთა ორგანიზაციებისაგან.

**საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა.**

პეტროგრადი. 19 აპრილი. საგარეო საქმეთა მინისტრმა 1917 წლის 18 აპრილს დეპეშა გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოებში მყოფ რუსეთის წარმომადგენლებს და დაავალა, იმ ქვეყნის მთავრობას, საცა ისინი იმყოფებიან, გადასცენ შემდეგი ნოტა: „ამა წლის 27 მარტს დროებითმა მთავრობამ მოქალაქეთა მიმართ გამოსცა მოწოდება, რომელშიც გამოთქმულია თავისუფალი რუსეთის აზრი თანამედროვე ომის მიზნების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით მე შემდეგი შენიშვნები უნდა დავურთო. ბოლო ხანებში ჩვენი მტრები ცდილობდენ საერთაშორისო დამოკიდებულებაში განხეთქილება დაეთესათ და ავრცელებდენ ჭორებს თითქო რუსეთს სეპარატიულ ზავის ჩამოგდება სურდეს მტრულ სახელმწიფოებთან. აქვე წარმოდგენილ დოკუმენტის ტექსტი ყველაფერზე უკეთესად აქარწყლებს ასეთ ხმებს.

აქედან თქვენ დაინახავთ, რომ დროებითი მთავრობის მიერ გამოთქმული საერობო დებულებანი სავსებით შეესაბამება იმ მაღალ იდეებს, რომელთა შესახებ მუდამ დღემდე ლაპარაკობდენ მოკავშირე ქვეყანათა სახელმწიფო მოღვაწენი. ეს იდეები ძლიერ ნათლად გამოიხატა ჩვენი ახალი მოკავშირის ატლანტიკის იქეთ მდებარე დიდი რესპუბლიკისა და მისი პრეზიდენტის გამოსვლაში. ძველი რეჟიმის მთავრობას არ შეეძლო შეეთვისებია და გაეგო ომის განმათავისუფლებელი ხასიათისა, მშვიდობიან ცხოვრებისათვის მყარ საფუძვლის შექმნისა და დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის აზრები.

ახალ დროებით მთავრობას კი მიზნად აქვს განამტკიცოს ესენი და აღადგინოს დაპყრობილ ერთა და დემოკრატიათა უფლებები. ამ მიზნისთვის რუსეთი უფრო თავგამოდებით იბრძოლებს მოკავშირეებთან ერთად და ეცდება განახორციელოს ყველა ის დებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მუდმივ კავშირს და ხალხის კეთილდღეობას.

**უმაღლესი მთავარსარდალი რიგაში.**

რიგა. 19 აპრილი. ჩამოვიდა უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი ალექსეევი. ჯარსა და შტაბში მას წარუდგენ ოფიცერთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი. გენერალი მათთან დიდხანს საუბრობდა, ასპარეზზე ჯარის მდგომარეობის შესახებ.

**სპეციალი მისსია.**

პეტროგრადი. 19 აპრილი. გენერალი პოტანოვის მეთაურობით ამერიკას, იგზავნება სპეციალი მისსია ზოგიერთი ეკონომიური ხასიათის კითხვების გადასაჭრელად.

**ჩრდილოეთის ასპარეზის ჯარის მთავარსარდლის მოწოდება მცხოვრებთა და ჯარის მიმართ.**

პეტროგრადი. 19 აპრილი. მტერი ომის გასაგრძელებლად ემზადება. თავს უყრის ჯარსა და ბლომად მოაქვს სამხედრო იარაღები და სანოვაგე. ამავე დროს მტრის აგენტები, რომელნიც მუდამ ირეოდენ ჯარში და ჯარის ზურგს უკან, ცნობებს აწვდიან მტერს ჩვენი სამხედრო მომზადების შესახებ და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ მტერს ჩვენსა და ჩვენს მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში. პეტროგრადი და მისი მიდამოები სავსეა გერმანელი ჯაშუშებით. მათთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ მხილება ძნელიაო, სთქვა სამხედრო მინისტრმა გუჩკოვმა. გახსოვდეთ, რომ გერმანეთის მთავრობის აგენტები იმყოფებიან არა თუ მარტო სატახტო ქალაქებში, არამედ ყველგან. შეგნებულად შევხვდეთ იმ საფრთხეს, რომელსაც გერმანელი ჯაშუშები გვიმზადებენ. დაეხმარეთ მათთან ბრძოლაში მზვერავებს. ფრთხილად იყავით ლაპარაკსა და წერილებში. ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველი დაუფიქრებლად ნათქვამი თუ ნაწერი სიტყვა ჩვენს სამხედრო მდგომარეობას ეტყობის მათ. გახსოვდეთ, არ არის ხელობა, რომელსაც გერმანელი ჯაშუში არ დაადგება თავის მიზნების აღსასრულებლად. გერმანელი ჯაშუში ყოველგვარ ტანსაცმელ ჩაიცმის თავის საქმის გასაფარავად. ფრთხილად მტრის აგენტები შეატყობინეთ მათ შესახებ.

შტაბებისა, ასპარეზისა, ჯარისა თუ სამხედრო ოლქების (საზვერაო ნაწილებს.

რადგანაც მხოლოდ ამ ნაწილების მოვალეობაა ჯაშუშებთან ბრძოლა. დაეხმარეთ საზვერავო ნაწილებს. ასეთი ნაწილები ყველა სახელმწიფოებში არსებობს. ნუ აურევთ ამ ნაწილში მომუშავეთ ძველის მთავრობის მაძიებელ პოლიციასთან. ინფანტერიის გენერალი რუზსკი.

**საზღვაო მთავარი შტაბის ბრძანება ფლოტის მიმართ.**

სამხედრო მინისტრის ბრძანება ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ ეხება მხოლოდ მეზღვაურთა ტანისამოსის ფორმას; ამიტომ ხმელეთის ასპარეზზე მომქმედი საზღვაო ნაწილები, რომელნიც ხმელეთის ჯარის ფორმას ატარებენ,ვალდებული არიან ასეთი ფორმა ამიერიდან ატარონ.

**1 მაისი პეტროგრადში.**

პეტროგრადი 18 აპრილი. ჩინიზელის ცირკში კონცერტ-მიტინგი გაიმართა სახელმწიფო თეატრის მსახიობის მონაწილეობით. კერენსკიმ სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ყველა სოციალისტურ პარტიებს შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა. მას მხურვალე ტაშისცემით შეხვდნენ. იქვე ილაპარაკეს ჩხეიძემ და სხვებმა. საღამოს ბევრ ადგილას მოეწყო კონცერტი და მიტინგი მათში ყველაზე უფრო საინტერესო და მრავალრიცხოვანი იყო მიტინგი ქალაქის საბჭოში, მარინეს თეატრში და მუსიკალურ დრამის თეატრში. კარგა შუაღამემდი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდა მიწურული დღის ამბებზე. მთელი დღის განმავლობაში ერთი უბედური შემთხვევაც კი არა ყოფილა. 1 მაისის დღე ჩვეულებრივ სამუშაო დღეზე უფრო მშვიდობიანად ჩატარდა.

ხარკოვი. 18 აპრილი. კვირას არქიეპისკოპოსი ანტონი სწირავდა. მრევლი წირვის დროს ხალხს ხელს აწერიებდა არქიეპისკოპოსის ადგილზე დატოვების თხოვნაზე.

ამ დროს ამაღლებულ ადგილას მდგომმა, კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტმა, სთქვა: ეს რა საჭიროა, არქიეპისკოპოსს სამი დღეა რაც კათედრის დატოვება უბრძანესო. ამ სიტყვებმა ხალხი ძლიერ ააღელვა. ზოგიერთნი მივარდენ სტუდენტს და დაუწყეს ცემა. ერთმა დვდელმა ძლივს მოახერხა მისი გამოგლეჯა ხალხის ხელიდან. სტუდენტი ამავე ღვდელმა მოსწრებულს მილიციას გადასცა. სტუდენტი აღმოჩნდა ებრაელი, გვარად კაუფმანი. ეს ამბავი მალე მოედო ქალაქს და ყოველნაირი ბნელი აზრები დაბადა. ამ ამბავს ათასგვარად ხსნიდენ, იმასაც ამბობდენ, სტუდენტი არქიეპისკოპოსს ხელით შეეხოო. ამის გამო საღამოს საკათედრო მოედანზე მრავალრიცხოვანი მიტინგი გამართეს მრევლის ოფიცრებმა. ერთი კაცი ამბის შესატყობათ არქიეპისკოპოსთან გაგზავნეს. დაბრუნებულმა სთქვა, არქიეპისკოპოსმა ანტონიმ მითხრა, მისთვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათო. ამ ცნობამ ოდნავ დააშოშმინა ხალხი. ორშაბათს ხმები ისევ გაძლიერდა და ქალაქი ააღელვა. ხარების საკათედრო ტაძარში მოხდა ერის კაცთა კრება, რომელმაც დაადგინა იშუამდგომლოს არქიეპისკოპოს ანტონის ძველ ადგილზე დავების შესახებ.

ხოლო არქიეპისკოპოსმა ანტონიმ რედაქციებს წერილი გაუგზავნა, სადაც თავის მრევლს სთხოვს საშუალება მომეცით წავიდე და მშვიდობიანად ვიცხოვრო სიკვდილის წინ სვიატოგორის მონასტერშიო. მე ძლიან ნაწყენი დავრჩები. თუ ჩემი მოღვაწეობის დროს რაიმე სისხლის ღვრა მოხდაო.

დონის როსტოვი. 18 აპრილი. გაიხსნა როსტოვის ოლქის გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ყრილობაზე დაადგინეს: საოლქო კომიტეტი ერთად ერთი ძალაა მთელს ოლქში. ყველა საოლქო დაწესებულება საოლქო კომისიით უნდა შეიცვალოს. საჭიროა სასოფლო სამართველოების გაუქმება და მათი შეცვლა სამოქალაქო

კომიტეტებით.

თავისუფლების სესხზე ხელის მოწერით შემდგარმა თანხამ 14 მილიონს გადააჭარბა. ხელი მოაწერეს: ასმოლოვის ქარხანამ მილიონი და ორასი ათასი მანეთი, ვეისბრემმა მილიონი, ბუძენთა ახალშენმა მილიონი, აგრეთვე შეპირდენ ყოველნაირად შეგიწყობთ ხელსო.

თავისუფლების სესხი.

ვორონეჟი. 17 აპრილი. ადგილობრივ ებრაელთა „ობშჩინა"-მ 700.000 მანეთზე მოაწერა ხელი.

დასავლეთ ფრონტის ჯარის მთავარსარდლის ბრძანება.

პეტროგრადი, 19 აპრილი. ვაქვეყნებ სამხედრო მინისტრის მოწოდებას მომქმედ არმიის ჯარის კაცთადმი. წინადადებას გაძლევთ ეს მოწოდება გაავრცელოთ რაც შეიძლება შორს ასპარეზზე მომქმედ ჯარში, გააკარით სადგურებსა და ქალაქებში. ამასთან ერთად გახსენებთ წინა ბრძანებას.

არჩეულ კომიტეტებს ვთხოვთ კარგად გაითვალისწინონ ის მძიმე დრო, რომელშიც ჩვენი სამშობლო იმყოფება და თვალყური ადევნონ იმ ამხანაგებს, რომელნიც სულიერი სისუსტისა, თუ თავისი სამოქალაქო და სამხედრო მოვალეობის შეუგნებლობის გამო, შესაძლებელია, აპირებენ ჯარის დატოვებას. ჯარისკაცნო! თავისუფალი რუსეთი, რომელიც მომავალ საფრთხის წინაშე სდგას, თქვენგან თქვენი ვალის ასრულებას ელის.

ხელს აწერს ჯარის მთავარსარდალი.

გურკო.

**პირველი მაისის დღესასწაული რუსეთში.**

პეტროგრადი. 19 აპრილი სხვადასხვა ქალაქებში სააგენტომ ცნობები მიიღო პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ. მოსკოვში უამრავი ხალხი გალობითა და მუსიკით ურიცხვ ბაირაღებით დადიოდა ქალაქის ქუჩებში. მას მიესალმენ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრები და მოსკოვში სტუმრად მყოფი ფრანგი და ინგლისელი სოციალისტები.

კოსტრომაში დიდის ამბით შეხვდენ ბრეშკო-ბრეშკოვსკის ქალს. ჰელსინგფორსში საერთო დღესასწაულში მონაწილეობდა ფინთა პროლეტარიატი. ქ. მინსკში დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო შლისელბურგებმა მოროზოვმა. 1 მაისის დღესასწაული ჯარისა, ფლოტისა, ხალხისა და მუშების ძმური კავშირის დღე იყო სიმბირსში, რეველში ნოვოჩერკასკში, სარატოვში, თბილისსა და სევასტოპოლში. დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდენ ეროვნული ორკესტრები უკრაინელთა, თათართა, პოლონელთა და სომეხთა. ასეთი ცნობები მოდის მრავალ სხვა და სხვა ქალაქებიდან. კრონშტადტში ხაზღვაო საკათედრო ტაძრის მოედანზე ამართული იყო მორთული გემის მოდელი, აქვე მოხდა შესანიშნავი პარადი. მინსკში დიდებული მანიფესტაცია გამართეს. ცარიცინში მონაწილეობა მიიღეს ტყვე ჩეხებმა სლოვაკებმა, რომელნიც იქ მუშაობენ. იასში და მის ახლობლად მდებარე სოკალში ჯარისკაცებმა გრძნობიერი პროცესია მოაწყვეს. სოკალში მრავალ რიცხოვანი მიტინგი გაიმართა, რომელზედაც მოვიდა გენერალი შერბაჩევი. მას ჯარისკაცებმა წითელი ბანტი მიართვეს. როგორც დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულს რევოლუციურ ჯარის პირველ მთავარ სარდალს. შჩერბაჩევმა ბანტი მიიღო და მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს. ნდობის ამ ნიშანს მთელს სიცოცხლეს ვატარებო. მე დარწმუნებული ვარო, სთქვა გენერალმა, იმ აღფრთოვანების დროს, რომელიც ყველას აერთებს აუცილებლად მივაღწევთ გამარჯვებას. გნერალს ოვაცია გაუმართეს. ჯარისკაცთა ერთმა ჯგუფმა გაათავისუფლა საკანიდან და მიტინგზე მოიყვანა რუმინელ სოციალდემოკრატთა ბელადი რაკოვსკი. რაკოვსკიმ სიტყვა წარმოსთქვა რუსულსა და რუმინულ ენებზე. გაიხსენა თავისი მონაწილეობა 1905 წლის მოძრაობაში. რუმინელთ მოუწოდა რუსის ხალხის მაგალითს მიბაძეთო. მოიპოვეთ თავისუფლებაო. ბალკანელ სლავიანთა ერებს მოუწოდა ფედერატიულ კავშირის შესაქმნელად. არსად უწესოება-რამ არა ყოფილა..

ძველი რეჟიმის მომხრეთა დატუსაღება.

**ოდესა**, 19 აპრილი. გამომძიებელ კომისიის დადგენილებით ქალაქის თავი პელიკანი, მისი თანაშემწე მეჩნიკოვი და თორმეტი სხვა მოღვაწე ძველ რეჟიმისა, რომელნიც ერთ სანატორიუმში იყვნენ მოთავსებული, ციხეში ვადაიყვანეს. გარნიზონის კომიტეტის მოთხოვნით კომისარმა დააპატიმრა პირველ მოთხოვნილების საგნებზე სპეკულიაციისათვის ვაჭრები სოსკინი, ბოლოტინი, როხლინი, პრანინი, ბრუკსანი და სიმინოვსკი. მათი მოქმედება პროკურორს აცნეს.

## რვა საათის სამუშაო დღის დაკანონება

დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ სახელმწიფო და კერძო რკინის გზებზე რვა საათის სამუშაო დღე დააკანონა. ეს დიადი გამარჯვებაა მშრომელთათვის. რევოლუციამ მოუტანა ნაყოფი მუშათა კლასს. დღეიდან უადვილდება ტვირთ მძიმეთ ლუკმისთვის ბრძოლა.

მუშას რვა საათი ეძლევა დასასვენებლად, გონებრივ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის. ცხადია ეს ზომა დიდათ ხელს შეუწყობს მუშათა განვითარებას და გათვითცნობიერებას ამის შემდგომ აღარ იქნება დეპოს მონა მორჩილი არსება, არამედ, საზოგადოების სწორუფლებიანი წევრი, საზოგადოებრივ ცოდნით აღჭურვილი. რჩება კიდევ ერთი უსწორ მასწორობა. ეს არის ქარხნებში და სხვა წარმოებებში მუშათა სამუშაო დროს რვა საათის განსაზღვრა. ამ საქმისთვის მუშაობენ შემრიგებელი კამერები და უეჭველია აქაც რვა საათის სამუშაო დღეს შემოიღებენ, რადგან რევოლუცია თანასწორობას ამყარებს.

ჩვენც მივესალმებით რვა საათის სამუშაო დღეს და გვწამს, რომ ეს ცვლილება მუშა ხალხის ძალთა განვითარებას ხელს შეუწყობს და ძლიერ დემოკრატიულ კულტურას საფუძველს ჩაუყრის.

---

**შრომის ჯგუფის რეზოლიუციები.**

სატახტო ქალაქში შესდგა სრულიად რუსეთის შრომის ჯგუფის წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობა, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა შესახებ:

1. ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებისა: ჯგუფი ეცდება, რომ ამ ორგანოებმა მოიპოვონ მორალური ავტორიტეტი რუსის ერის ყველა ორგანიზაციებში. ამასთანავე ჯგუფი დაუყოვნებლივ საჭიროებათ აღიარებს, რომ მესამე მთავარმა სტიქიამ რუსეთის დემოკრატიისამ — გლეხობამ მიიღოს შეკავშირებული წარმომადგენლობა ადგილობრივ საგლეხო საბჭოების სახით, რომელიც შეერთებულად იმოქმედებს სრულიად რუსეთის საგლეხო საბჭოებთან.

2. დროებითი მთავრობისა, რომელსაც შრომის ჯგუფი დღევანდელ მომენტში სრულის ნდობით ეპყრობა და მხარსაც დაუჭერს მას იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელსაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების თანხმობით შეიმუშავებს. ჯგუფი აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს, რათა დროებით მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ წარმომადგენლები ყველა მთავარ სოციალისტურ პარტიებისა.

3. აგრარულ საკითხისა: უნდა მოწვეულ იქნას ყველა სოციალისტურ პარტიებისაგან შემდგარი ხალხოსნური კონფერენცია და შემუშავდეს პროგრამა აგრარულ საკითხში.

4. თავისუფლების სესხისა: თავისუფლების სესხი არის იგივე რევოლიუციის სესხი.

5. ეროვნული საკითხისა: ჯგუფმა მიანდო ცენტრალ კომიტეტს შეუთანხმდეს რუსეთის სახელმწიფოში მობინადრე ერების დემოკრატიულ და სოციალისტურ ჯგუფებს და დაამზადოს შემდეგი ყრილობისათვის მოხსენება ავტონომიასა და ფედერაციაზე. დროებითი გადაწყვეტილებანი კერძო საკითხების შესახებ ამ დარგში ჯგუფმა მიანდო ცენტრალ კომიტეტს.

---

# მსოფლიო ომი

(პ. ტ. ს)

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი 19 აპრილი.** ოფიციალი. შემენდედამის მიდამოებში ორივე მხრიდან გაცხოველებული საარტილერიო სროლაა. ერნი იურტნიგიზის ასპარეზზე მტერმა სცადა იერიშების მოტანის განმეორება. მოიტანეს იერიშები ადგილობრივ ჩვენს თხრილებზე მცირე მნიშვნელოვანი მტრის სა

21 აპრილს გარდაიცვალა ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ

ნეონილა (ლოლა) სოლომონის ასული კაკაბაძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულმოკლული დედა ეფროსინე კაკაბაძისა, სიძე ვლადიმერ კახიანი და, და მისი ლიუდმილა კახიანისა, ძმა მიხეილ კაკაბაძე, ბიცოლა სონა კაკაბაძისა შვილებითურთ. ცხედარს გამოასვენებენ პეტრე-პავლეს ქუჩიდან დევდარიანის სახლიდან და წაასვენებენ სოფელ კუხში კვირას, 23 აპრილს, დილის 10 საათზე.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1—1

## იმ თანამოაზრე ამხანაგებს

(განურჩევლათ სქესისა), რომელთაც წელს დაასრულეს საშუალო სასწავლებელი ვთხოვთ შაბათს შუადღის 12 საათამდი „ჩვენი ქვეყნი"-ს რედაქციაში შემოიარონ.

---

დარაჯოები დავაზიანეთ ტყვიის მფრქვეველთა და ხელ საა სასროლ ყუმბარების საშუალებით.

შამპანში ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობდა. კორნილიეს მთის ახლო-მახლო ადგილებში მოხდა გაცხოველებული ბრძოლა, ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ბრძოლის დრ... საგრძნობლად წინ წავიწიეთ. ჩვენი ჯარის ნაწილები რამდენიმე ადგილას მიიჭრნენ გერმანელების ბრძოლის მოწინავე ხაზზე. დავანგრიეთ მტრის თხრილებია, დავგრ... დიდი ნადავლი ლოტარინგიში ჩვენმა მფრინავებმა გამოიჩინა ენერგია.

იტალ... ის ასპარეზი.

**რომი**. 18 აპრილი. ოფიციალი. დღის განმავლობაში ადგილ-ადგილ ხდებოდა საარტილერიო სროლა. კარსოს ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკება მოგვიხდა მტრის მზვერავ... ხაზთან. წამოვიყვანეთ ტყვეები. მათ რიცხვში ერთი ოფიცერი. ქვემო იზონცოს მიდამოებში მტრის მფრინავებმა დაგვაზარალა.

**ჰააგა**. 17 აპრილი. უცნობი ეროვნების მფრინავმა ყუმბარები ჩამოაგდო ნიდერლანდის ქალაქ ზირიკზეზე. სამი კაცი მოკვდა. ზიანი საგრძნობელია.

**ლონდონი**. 19 აპრილი ოფიციალი. აპრილის განმავლობაში. ჩვენ წამოვიყვანეთ 19.343 ტყვე. მათ შორის 391 ოფიცერი, 257 სამხედრო იარაღი. მათ შორის იყო 98 ყუმბარების მტყორცნელი და 79 ტყვიის მფრქვეველი. გუშინდელი დღისა და ღამის განმავლობაში საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელების 8 აეროპლანი. 9 აეროპლანი დავაზიანეთ.

**პარიზი**. 17 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენისა და უაზის შუა მდებარე მიდამოებში ხდება საკმაოდ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. იურტებიზის მიდამოებში ხდებოდა ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით. შამპანში საარტილერიო ბრძოლისთვის მომზადების შემდეგ ჩვენ ქვეითა ჯარს გერმანელების ბრძოლის ხაზთან მოუხდა მტერთან შეტაკება.

**პარიზი** 18 აპრილი. ოფიციალი. შემანდიდენისა და გაურტებიზის მიდამოებში გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა. შ...ნში ლორონვილურის სამხრეთით ხდებოდა არტილერიის ინტენსიური მოქმედება, სადაც მტერი ორჯერ შეეცადა იერიშები მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. მტერი დაზარალდა. ჩვენი ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლის საშუალებით.

---

# უცხოეთი.

(პ. ტ. ს.)

**ამერიკაში.**

**ვაშინგტონი**. 18 აპრილი. სამხედრო ბილლის ძალით ვილსონს ევალება ეროვნულ გვარდიაში 62,500 ვოლონტერის ჩაწერა და სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოსახდელ პირთაგან 500,000 კაცის ჯარის შედგენა.

ამ ბილლის თაობაზე სენატსა და პალატას შორის ატეხილ უთანხმოების გამო მოხდება შეერთებული კრება ორსავე პალატისა. აზრად აქვთ ერთი კვირის განმავლობაში ბილლი ვილსონს წარუდგინონ დასამტკიცებლად. უთანხმოება სენატსა და პალატას შორის იმაში მდგომარეობს, რომ სენატმა ჯარში გასაწვევთა ასაკი 21 წლიდან 27-წლამდე დაადგინა, ხოლო პალატამ 21 წლიდან 40 წლამდე ამას გარდა რუზველტის წინადადება ევროპაში 4 დივიზიის გადაგზავნის შესახებ სენატმა მოიწონა, ხოლო პალატამ უარყო.

**აკრძალვა.**

**ჰააგა**. 17 აპრილი. რამე განკარგულების გამოსვლამდე აკრძალულია რუსეთში საფოსტო ამანათების გზავნა.

**პირველი მაისის დღე ავსტრიაში და გერმანიაში.**

**სტოკჰოლმი**. 19 აპრილი. ვენიდან დეპეშით იტყობინებიან: გუშინ ვენაში სოციალ-დემოკრატების მე-22 კრება გაიმართა. მთავრობა არსად არ ჩარევია. პარტიის პრეზიდიუმმა რეზოლიუცია შეიმუშავა, რომელიც ყველამ ერთხმად მიიღო. დაწვრილებით არაფერს გვატყობინებენ.

არავითარი ცნობები მივვიდია ბერლინში პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ. მხოლოდ ნორდენის სააგენტომ გამოაქვეყნა მოკლე ცნობა: გერმანელი მუშები ყველაფერში მიყვენ საპროფესიო კავშირის კომისიას და ყოველგვარი გამოსვლისაგან თავი შეიკავესო. ბერლინსა და მის მიდამოებში ყველა ქარხანა ჩვეულებრივად მუშაობდა. ქუჩაზედ უჩვეულო ამბავი არა მომხდარა რა. გერმანული გაზეთები არ მაგვიღია. ავსტრო-უნგრეთის პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ ცნობები არ მოსულა.

**საფრანგეთის ელჩი ჰოლანდიის განცხადების შესახებ.**

**ჰააგა**. 18 აპრილი. საფრანგეთის ელჩმა ჰააგაში შემდეგი შინაარსის ნოტა გამოაქვეყნა: გერმანეთის წყალქვეშა ბრძოლამ შეიარაღებულ სავაჭრო გემების კითხვა სხვაგვარად დააყენა. ამავე დროს ნიდერლანდების მთავრობა ჰოლანდიის გეოგრაფიულ მდებარეობის თვალსაზრისზე სდგას და ჰოლანდიის ნავთსადგურებში შეიარაღებულ სავაჭრო გემების შემოსვლის აკრძალვას ითხოვს.

ნიდერლანდების მთავრობა ამას აცხადებს, თუმც ის შეთანხმების სახელმწიფოების მოძულე არ არის, რადგან მას ნეიტრალიტეტის დარღვევა არ შეუძლია. ხოლო გამოუცხადებლობა მიკერძოება იქნებოდა.

**ნიუ იორკი**. 19 აპრილი. ვივიანმა ინახულა ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გომპერსი. ამერიკის შრომის ფედერაცია 2 მილიონზე მეტ მუშას აერთებს. ვივიანმა სთქვა: იმედი მაქვს, რომ ამერიკელი მუშები ფრანგ მუშებივით მოგვეხმარებიან პრუსიის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. გომპერსმ უპასუხა: ახლა, როცა საქმე მიდგა იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს, დემოკრატია თუ თვითმპყრობელობა, ამერიკელმა მუშებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს დაიცვან ჩვენი ქვეყანა; საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატია, რათა უზრუნველვყოთ კაცობრიობის თავისუფლება და დავამყაროთ მტკიცე ზავი. ამერიკის ნავთსადგურებში დაკავებულ გერმანელების გემებს მოკავშირეთათვის სანოვაგის გადასაზიდავათ გამოვიყენებთ. დღეს ეს შტატების მთავრობამ შეატყობია ბრიტანეთის კომისიას.

---

# ახალი ამბავი

✦ ს. ნოდა (ქუთ მ.) 16 აპრილს ადგილობრივ მცხოვრებს ვასილ კიკნაველიძეს სახლი დაუწვეს. ეჭვი აქვთ მეზობელ გინუკაძეზე, რომელიც ჩვენების ჩამოსართმევად დაიბარა ადგილობრივმა აღმასრულებელი კომიტეტმა.

✦ 7 აპრილი ხონის და ქუთაისის გზაზე გაძარცვეს გლეხი ვანო ჩხატარეიშვილი, წაართვეს 180 მან. ფული და ხანჯალი.

✦ ქუთაისის გუბერნიის კომისარის კანცელიარია აცხადებს, რომ 20 აპრილიდან გუბერნიის კომისარი ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი მთხოვნელებს მიიღებს ყოველ დღე დილის 10 სათიდან 11 საათამდის.

✦ ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა 19 თებერვალს თავის სხდომაზე განიხილა ომისგან დაზარალებულ ჯარის კაცთა და მათი ოჯახების დამხმარე ადგილობრივ განყოფილების თხოვნა. განყოფილება ითხოვს, რომ დახმარების კომიტეტში შევიდენ თითო წარმომადგენელი ქუთაისში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებისა, ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის შესახებ უკვე აცნობა ქუთაისში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს.

✦ ეს ორი დღეა ქუთაისში რუსეთიდან ფოსტა არ მოდის.

✦ უხორცობა ქუთაისის მცხოვრებნი ხორცს სრულებით ველარ შოულობენ. ყასბები უარს აცხადებენ ხორცის გაყიდვაზე, თუ ნიხრს არ მოუმატებენ.

✦ 22 აპრილიდან მუშაობას განახლებს ქუთაისის საბჭო სამმართველო, და „გლეხთა საქმის გამგებლობა".

✦ სასურსათო განყოფილების გამგე, აღწერის მომწყობი ი. ზ. გძელიძე ამით აუწყებს რეგისტრატორებს რომ მეცადინეობა რაიონების ხელმძღვანელებთან დაიწყება 21 აპრილიდან შემდეგ ბინებზედ: 1) რაიონის ხელმძღვანელი მ. ვაჩნაძე ამეცადინებს თავის რეგისტრატორებს — ეპისკოპოსის კანცელარიაში 2) რაიონის ხელმძღვანელი ა. ... შვილი მე-3 ... სასწავლებელში — 3) რაიონის — ი. მდივანი — ქალების სახაზინო გიმნაზიაში 4) რაიონის — ... — ... გიმნაზიაში 5) რაიონის — მ. კუპავა — შავიქვის საბჭოში. 6) რაიონის — წ. ბერუჩოვი სომხურ შკოლაში 7) რაიონის — მ. მახარაშვილი საეპარქიო დაწყ. სასწავლებელში 8) რაიონის — წ. ალავიძე — რეალურ სასწავლებელში 9) რაიონის — აბაშიძე — საეპარქიო სასწავლებელში. ამავე ხელმძღვანელებთან აღნიშნულ ადგილზე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს, შეიძლება რეგისტრატორებათ ჩაწერა 23 აპრილამდის. მეცადინეობა ამ ადგილებზე იწყება სალ. 4 საათიდან.

✦ ოქმი. 15 აპრილს სანიტარულმა კომისიამ ვაჭარ ლუკა კიკვაძესა და პეტრე კვარაშვილს უსუფთაობისათვის ოქმი შეუდგინა.

✦ გადამალული საქონელი. ქუთაისის სასურსათო განყოფილებაში ხშირად შემოაქვთ სხვადასხვა გადამალული საქონელი, რომელიც გაჩხრეკის დროს ვაჭრებს აღმოაჩნდებათ.

დ. ხარაგოულში (ბელაგორის რაიონი) ამა წლის პირველ მაისისთვის შესდგება ამ რაიონის სახალხო მასწავლებელთა კრება ფილიალის დასაარსებლათ და სხვა კითხვების გადასაწყვეტათ. ვთხოვთ ამა რაიონის მასწავლებელთ უსათუოდ დაესწრონ კრებას. კრება გაიხსნება დილის 11 საათზედ ადგილობრივ ვაჟთა სასწავლებელში.

✦ დასავლეთ-საქართველოს, საშვალო სასწ. მასწავლებელითა კავშირი იწვევს კავშირის წევრებს დაესწროს არა ჩვეულებრივ კრებას, რომელიც მოხდება 23-ს აპრილს კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დილის 12 საათზე განსახილავია კითხვები: 1) შეცვლა წესდების იმ მუხლისა, რომელიც შეეხება მასწავლებლის არჩევას. 2) შეცვლა წესდების იმ მუხლის, რომელიც შეეხება საწევრო გადასახადის რაოდენობას. 3) არჩევითი პრინციპი და მ ისი ეხლავე განხორციელება 4) სარევიზიო კომისიის არჩევა 5) მიმდინარე საქმეები.

✦ „ჩვენი ქვეყნის" რედაქციამ მიიღო მიხეილ ვეშაპიძის ნაწარმოებთა პირველი წიგნი „ჩემი საჩუქარი" ლექსები და მოთხრობები, რომელიც შეიცავს სულ 46 გვერდს და ღირს 10 შაურად.

✦ მივაქცევთ ქალაქის მამების ყურადღებას იმ გარემოებაზედ, რომ ქუთაისის ქუჩები ღამეობით სიბნელით არის მოცული და ისედაც ოღრო-ჩოღრო ქვა-ფენილზე კაცი ცხირ-პირს იტრევს და სიბნელე ხომ მთლად უხვევს გამვლელს თვალებს. ქუჩის ძაღლებისაგანაც არ არის მოსვენება.

---

# თბილისი.

—საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობა და კომისარი ბენეშევიჩი ბენეშევიჩს 17 აპრილს წარუდგინეს საქართველოს ეკლესიის დეკლარაცია, გამომუშავებული საქართველოს დროებით მმართველობის მიერ. ამ დეკლარაციის ძალით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა იქნება ნაციონალური. ეს დეკლარაცია გაეგზავნება დროებით მთავრობას.

—საქართველოს საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა დელეგატების კრება დანიშნულია 5 მაისს. დელეგატებს ბინა ექნებათ საეპარქიო სასწავლებელში და ჩაიშაქარი მუქთად ექნებათ. დელეგატებმა მოსვლისას უნდა გამოცხადდენ წერა კითხვის საზოგადოებაში ვ. ბურჯანაძესთან. საგანი კრებისა: 1) დღევანდელი მომენტი, 2) სამრევლო სკოლების მმართველ კომისიის არჩევა, 3) მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება და 4) გადაწყვეტა საკითხის შესახებ იმისა, რომ ყველა სკოლები დაექვემდებაროს განათლების მინისტრს.

—კავკასიის მართვა-გამგეობის საქმე. ამიერ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ხარლამოვმა პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: დროებით მთავრობაში არ აღძრულა კითხვა კავკასიაში უმაღლესი მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი ელის კომიტეტისაგან დაწვრილებითი ცნობებს, რომლითაც მთავრობა იხელმძღვანელებს კავკასიის მართვა-გამგეობის ორგანიზაციის შემუშავების დროს.

—პეტროგრადის ჭორები. ამიერ-კავკასიის კომიტეტმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ პეტროგრადში გავრცელებული ჭორები, ვითომც ამიერ

კავკასიის ერებში ნიადაგი ჰქონდეს სეპარატიზმს—სიმართლეს მოკლებულიაო.

—სამოსწავლო ოლქის სამართველომ დაადგინა, რომ საქალებო გიმნაზიების მე-8 კლასის მოსწავლეებს ნება ჰქონდეთ საპედაგოგიო საბჭოების სხდომებს დაესწრონ სათათბირო ხმით.

— ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოზო კათედრის აღმადგენელი თბილისის დროებითი კომიტეტი აცხადებს, რომ კვირას, აპრილის 23, დღის 12 საათზედ, ქარ.-კათ. მიძინების საეკლესიო სკოლის შენობაში მოხდება სამრევლო კრება მომავალ საერთო დელეგატთა კრებისათვის დელეგატების ასარჩევათ.

— ნაექზარხოსალი არქიეპისკოპოსი პლატონი ახალმა მთავრობამ პეტროგრადს გაიწვია სინოდის საზაფხულო სესიაში მონაწილეობის მისაღებად.

— ღვინის გაყიდვის აკრძალვის გამო, როგორც სირწმუნოდ ამბობენ, თბილისის ზოგიერთ ღვინის საწყობების პატრონებს გადაუწყვეტიათ მოსამსახურეები დაითხოვონ· თუ ეს ხმები გამართლდა, რამდენიმე ათასი კაცი დარჩება უმუშაოდ.

— ქართველ მსროლელთა პოლკი. სალდათთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა დაუყონებლივ გაიგზავნოს კომიტეტის წევრი ამხ. შერვაშიძე ქართულ მსროლელთა პოლკში, რათა შეთანხმება ჩამოაგდოს სალდათთა და აფიცრების შორის.

— თბილისის ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობამ 16 აპრილს დაადგინა მოიწვიოს საზოგადოების წევრთა კრება და შეეცადოს, რომ საზოგადოებაში ბლომად ჩაეწერონ ჟურნალისტები. კრებას გადასაწყვეტად შემდეგი მოხსენებანი წარედგინება: 1) დაარსებულ იქნას დასაზღვევი კასა, 2) შუამდგომლობა აღიძრას, რომ შრომისაგან და წლოვანებისაგან დაუძლურებულ ჟურნალისტებს პენსია დაენიშნოსთ სახელმწიფო სახსრიდან; 3) შემუშავებულ იქნას ჟურნალისტების ნორმალური შრომის ფასი და სხ.

— წერა-კითხვის გამავრცელებელ ს-ბის თბილისის განყოფილებამ დაადგინა მოიწვიოს 20 აპრილისათვის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს 50 დელეგატი, ყველა ფილიალ განყოფილებათა წარმომადგენლების საერთო კრებაზე დასასწრებლად მომავალ მაისის შუა რიცხვებში.

„საქ.“

## „ომის ლოზუნგი“

თუ რა არის ნამდვილი ლოზუნგი თანამედროვე ომისა გადაწყვეტით დღემდის ვერავინ სთქვა თვითმპყრობელურმა რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა მიმდინარე ომს „განმათავისუფლებელი“ უწოდეს, მაგრამ ამ სიტყვის ჭეშმარიტება არავის სწამდა. ამ კითხვას ამას წინად კადეტთა გაზ. „რეჩი“ ს ფურცლებზე შეეხო პროფ. როსტოვცევი და მსოფლიო ომის დადებითი მხარის გამაგრებას შეეცადა. მან არსებულ სისხლის ღვრას ისეთივე ვექილობა გაუწია, როგორც იმპერიალისტები სწევენ ხოლმე ომის სასარგებლოდ. ბ-ნ როსტოვცევს პეტროგრადელ „დენ“-ში უპასუხა ბ-ნმა ნევეროვმა. ნევეროვი როსტოვცევის აზრს პირობით სიცრუეს „უწოდებს“ და აღნიშნავს, რომ პირობითი სიცრუე იგივე ტრადიციული მსოფლ მხედველობაა, რომლის სიღრმეში შეგვიძლია ამოვიკითხოთ „ისტორიულ ომების შეცდომები“.

საფრანგეთის რევოლიუციურ ეპოქის ომები განმათავისუფლებელ ლოზუნგს ატარებდენ, მაგრამ სამწუხაროდ ესეც დიდი შეცდომა იყო. ა. სორელს აქვს დაწერილი შრომა „ევროპა და საფრანგეთის რევოლიუცია“ რომელშიც ვკითხულობთ: განმათავისუფლებელი ლოზუნგი რევოლუციურ ომებისა დროებითი იყო. მით აღტაცებული იყვენ ზოგიერთი 1792 წლის წინასწარმეტყველები. პოლიტიკურ ჰორიზონტზე „განმათავისუფლებელ· ომის შუქი მხოლოდ რამდენიმე კვირა ანათებდა“, იგი საჩქაროდ ჩაქრა. შემდეგ ამისა რევოლუციური ომის პრინციპი სახეს იცვლის, იგი გვევლინება იმ სამოსელში, რომელშიც ჩვენ ვხედავთ აწინდელ ომს, მას სხვა ლოზუნგი უჩნდება. ეს არის ჯერ შურის ძიება, შემდეგ ძალა უფლების მოპოვება და გაბატონება. საფრანგეთის რევოლუციურ ეპოქაში საზოგადო თავდაცვის კომიტეტი მერლენის პირით აცხადებდა: რესპუბლიკისთვის იმდენად საჭიროა ბელგიელები იყვენ თავისუფალნი, რამდენად იგინი ფრანგები იქნებიანო. საფრანგეთის რესპუბლიკა იგივე დაპყრობითი გზით ვიდოდა, მოქალაქეთა დაუკითხავად იერთებდა მიწა წყალს. ა. სორელი ამბობს: არც დირექტორიამ იცოდა უკეთესი კანონები, იგი მტაცებლობას ემსახურებოდა, მაგრამ ამ ორმა ორგანომ (დირექტორიამ და საზოგადო თავდაცვის კომიტეტმა) მაღალ ფარდოვან სიტყვებით და თვალთმაქცობით დაიმსახურა საზოგადო ნდობა და ბაზაც შეიძინა. მანიფესტების გამოცემა ადვილი იყო, ხალხს ერთს პირდებოდენ, მხოლოდ პოლიტიკა. ქვეყნის მმართველობა სულ სხვა იყო. რესპუბლიკელებს ლაპარაკი უყვარდათ ისინი სხვადასხვა ზეიმებზე წარმოსთქვამდენ სიტყვებს, თუ როგორი უფლება უნდა ჰქონდეს თითოეულ მცხოვრებს, და არა სცხვენოდათ, როდესაც თავის ნათქვამს ფეხით სთელავდენ. უგულწრფელო აღფრთოვანება ფრანგთა რიტორიკისა, რევოლიუციის ეპოქის დაპყრობითი პოლიტიკით წარმოიშვა. კიდევ უფრო შორს მიდის „პირობითი სიცრუე“ ინგლისის განმათავისუფლებელ ომების ლოზუნგში. იმ ომებს, რომელთაც ინგლისი აწარმოებდა წინ მიუძღოდა ლოზუნგი „ბრძოლა თავისუფლებისთვის, ბრძოლა კაცობრიობის დახსნისათვის“.

როდესაც ინგლისი ისპანეთს სავაჭრო ხარკის შესახებ და ნეგრების ისპანეთის მიწა წყალზე თავისუფალ გატარებისთვის ებრძოდა, ისტორიაში ეს ბრძოლაც განმანთავისუფლებელ ომად „ითვლება“. კორეილი, თავის ისტორიაში მშვენივრად ახასიათებს ფრიდრიხ დიდის და ინგლისის დავას ავსტრიის მემკვიდრეობის გამო (Борьба за австрійское наслѣдство)

იმ დროს ყოველდღიური ბეჭვდითი სიტყვა არ არსებობდა და მისს სამსახურს სწევდა პოლიტიკური პამფლეტები.

ხსენებულ პოლიტიკურ პამფლეტებში მეტად დამახასიათებელია სიტყვები „კაუზე ოჲ ლიბერტი“ ამ ლოზუნგს ყველა მებრძოლი მხარე აყენებს, ერთის მხრივ ავსტრიის სარდლები იძახიან ჰაბსბურგებს მემკვიდრეობა უნდა შერჩეთ, „ომი განმათავისუფლებელიაო“

როგორ აღმოცენდა ამ სიტყვის, ეროვნული მნიშვნელობა? ამის შესახებ კორეილი ამბობს ჩვენი წინაპარნი მუდამ შიშში და ფანტასტიურ ძრწოლაში იმყოფებოდენ, მათ სწამდათ, რომ ფრანგთა პატივმოყვარეობა მოსპობს ევროპის კონტინენტზე პოლიტიკურ თანასწორობას და შემდეგ ჩაყლაპავს ბრიტანეთის ნაციასაც. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ევროპის პოლიტიკურ თანასწორობისათვის ბრძოლა იგივე „თავისუფლებისათვის ბრძოლა ყოფილა“ ამ შიშის გვერდით რომელსაც კორეილი „ფანტაზმ-ტერორს“ უწოდებს, მოქმედებენ ინგლისის რეალი ინტერესებიც ვაჭრობისა და მრეწველობის შეძენისათვის. იგივე კორეილი მოგვითხრობს, როდესაც მე-18 საუკუნეში ნიდერლანდელები ოსტინდოეთში სავაჭრო კომპანიის დაწყებას აპირებდენ, აქ ინგლისის პრემიერი წარმოსდგა და დაბეჯითებით განაცხადა, რომ არც ერთს ნიდერლანდელს ოსტინდოეთში არ გაუშვებს და ამას ასაბუთებდა იმავ „კაუჲა ლიბერი“-ს ძალით.

ინგლისი თავის შვილების თვალში ყოველთვის იყო თავისუფლების ქვეყნად აღსარებული და ომისა და ყოველგვარ კოლონიალ პოლიტიკის წარმოება ითვლება „თავისუფლებისთვის ბრძოლად“ აი, ასეთი დასკვნა აქვს განსვენებულ კორეილს ომის ტრადიციულ ლოზუნგის შესახებ. ეს აზრი ზოგიერთმა თანამედროვე მწერლებმაც გამოსთქვეს, მაგრამ მსოფლიო ხალხთა მომსპობი ცეცხლი ჯერჯერობით კიდევ პოპულიარული რჩება. „კაუზე ოჲ ლიბერტი“, როგორც ზემოდ ბ-ნი კორეილი მოგვითხრობდა, ყოველ მებრძოლ ქვეყანას საკუთარ ლოზუნგად აქვს მიჩნეული. საკუთარ ინტერესების დაცვაში „კაუზე ოჲ ლიბერტი“-სი ძლიერ ეხმარება მას.

და ეს მანამდის ასე იქნება, სანამ ქვეყნად ის ოცნება არ განხორციელდება, რომ მოისპოს სრულიად უსამართლობა, დამყარდეს და საერთაშორისო სიყვარული, რომ მგელმა ცხვარმა ერთად სძოვოს ბალახი...

Ser

## თეატრი და ხელოვნება.

ოთხშაბათს, 19 აპრილს ქალაქის თეატრში რუსული ოპერის ამხანაგობამ, ნაწილმა თფილისის სახაზინო დასისა დასდგა ვერდის ოპერა „ტრავიატა“. წარმოდგენამ, სხვა წინანდელ ოპერაზე, უკეთესად ჩაიარა. უმთავრესი როლები ეკავათ: ბ. ი. ზალიპსკის (ალფრედი), ბ-რგო ცეხანოვსკის ქალს (ვიოლეტა) და მალიშანს (ალფრედის მამა), რომელთაც რიგიანად ჩაატარეს თავიანთი პარტიები.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. პირველი ის, რომ ოპერის მსვლელობის დროს ბალკონზე შესავალ კარებს ურტყამენ მუშტებს დაგვიანებულნი, და მეორე ის, რომ ზალიპსკის მიერ კარგათ შესრულებულ ადგილს, ქალიშვილები „მენი ჰრიმე,“ „какой душка“-ს ძახილით ხვდებოდენ, რაც ხელს უშლიდა ოპერის მომსმენს.

დროა მგონი შეიგნოს მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომ, თეატრში ამგვარ მოვლენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წარმოდგენის გათავების შემდეგ მსახიობებს დიდი ოვაციები გაუმართა მოსწავლე ახალგაზრდობამ და ვარდები მიართვა.

ოპერა დასრულდა ღამის თორმეტის ნახევარზე.

შალვა.

## მოწერილი ამბები

### სააღდგომოთ.

ბრძოლის ველიდან.

ვერ მოისვენეს თურქებმა რომ სააღდგომოთ არ აზმაურებულიყვნენ! წითელ პარასკევს მათი მზვერავთა რაზმი დაუახლოვდა ჩვენს პოზიციებს; ეგონათ, დღესასწაულებით ისარგებლებდენ მაგრამ დიდია სული თავისუფალ მოქალაქე ჯარისკაცისა. ლომ-გმირებივით ეკვეთნენ ჩვენები და დიდის დანაკლისით უკუაქციეს მოწინააღმდეგე, ამ შემთხვევისა გამო, ფიცხლავ გამოწვეულ იქნა ჩვენი მზვერავთა რაზმიც. მივიღეთ შემდეგი ამოცანა: აღდგომა დილას პირდაპირი მტრის სოფლები დაგვეზვერა. გამოგვერკვია, თუ სად, რა ალაგას იმყოფება მათი ძალა-ბინადრობა და თანაც ადგილ მდებარეობას გავსცნობოდით. შაბათ ღამეს-სოფლების პირდაპირ დარაჯები ჩავაყენე. ღამე ცუდი ამინდი დაიჭირა საწვიმარი წვიმას ვერ იკავებდა. ლიტანიის დრო გადასული იქნებოდა. დარაჯმა სროლა ასტეხა. ვიფიქრე, მოგონებებმა თუ გაიტაცა ჯარის კაცი და აღდგომას ეგებება მეთქი მალე სროლა მთელ ხაზზედ გადავიდა. მსწრაფლ გავეშურე დარაჯისაკენ აღმოჩნდა: მოწინააღმდეგეთა რამდენიმე ცხენოსანი მიახლოვებოდა ჩვენს სანგრებს. ხრე მანევრის ნაწილის უფროსი ტელეფონით გადმომცემდა სროლის მიზეზს; მეც მოვახსენე. წვიმას თანდათან უმატებდა თითქოს ყველას დავიწყებული და წინათ თავის ოჯახში მხიარულად გატარებული ქრისტე აღდგომა ჯარის-კაცებს არ შეეძლოთ სიჩუმე დაერღვიათ და დღესასწაულის მისალოცათ ხმა ამოეღოთ ან ვის ახსოვდა აღდგომა, როდესაც ამ დარაჯობის გარდა დილას მთავარი მიზანი ჰქონდა შესასრულებელი. ყველა იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ასრულებდენ ხსენებულ დავალებას ჯერა დილა არც კი, გათენებულიყო, მოვხსენი ყველა დარაჯები და მტრის ბანაკისაკენ გავეშურე გადავედით პატარა მდინარე და სოფ. ჩ-ა. შესავალში ხრამში ჩავესაფრენით. ველოდით გათენებას, რათა ნათლათ დაგვენახა მტრის მოქმედება. ნაწილი რაზმისა მარჯვნივ გავგზავნე რათა გაქცევების დროს ფლანგით დავეცავით. ყველას გული უფანცქალებდა; სურდათ, რომ შეიძლება მალე გათენებულიყო და გადასწყდომოდათ გადასაწყდომი. სრული ხუთი საათი იქნებოდა გავიბენ-გამოვიბნით და ჯაჭვათ სოფელში ვიწყეთ შესვლა. ძლიერ ფრთხილათ მივდიოდით ვცდილობდით რაც შეიძლებოდა ადგილების ნაოჭებით გვესარგებლა. ყოველ წამში ველოდით სროლის ატეხას (თურქებს ჩვეულებათ აქვთ შორიდან სროლა). ან ვინ იცის ახლოს უნდა მიგვეშვანა შემდეგ დავეცხონ?

შევედით სოფელში და თითქოს სააღდგომო ფერხულისათვის, ვილაც ბეგის მიტოვებულ მწვანე ეზოში გავიშალენით. ეტყობოდა სოფელში-მხოლოდ ქალები ბავშვებითა და ღრმა მოხუცებულები დარჩენილიყვნენ. ჯარის-კაცებს ნება არ მივეცი მათ შეხებოდნენ. ამ დროს საუბედუროთ ერთ ჯარის კაცს ყუმბარაზედ რგოლი მოსძრობოდა და ძლივს მოასწრო გადაგდება. საშინელმა ხმამ თურქებს ამცნო ჩვენი აქ ყოფნა. სოფლის ახლო გორებიდან სეტყვასავით დაგვიშინეს ტყვია. ჩვენც საპასუხო მარდათ მათგან აქ დამზადებულ სანგრებს მივაშურეთ გაჩაღდა საშინელი სროლა. ბოლოს თურქებს სურდათ წინ წამოწევა, მაგრამ ამ დროს ჩვენმა მარჯვნივ მარაკაში მყოფმა რაზმმა დაუშინა და შეაფერხა მათი წინსვლა. რომაც საშველება მოგვეცა-ცეცხლიდან გამოვსულიყავით! მიზანი დიდებულათ შევასრულეთ, მტერსაც საკმაო ზიანი მივაყენეთ და ყველაზედ საბედნიეროთ ერთი კაციც არ დაგვიკარგავს. სამშვიდობოს რომ გამოვედით, გახარებული ჯარის კაცები ბრწყინვალე აღდგომას ულოცავდენ ერთმანეთს, ეჰ ბატონო. ეს მესამეა ჩვენთვის ასეთი აღდგომაო, შემომესმა უკანიდან მშობლიური ხმა-ჯარის კაცისა. აღსანიშნავია, რომ ყველა პოლკების მზვერავთა რაზმებში ბლომათ შეხვდებით ქართველ ჯარის კაცს. აქ,-სიყოჩაღე და გამბედაობა არის ქებული, რომელშიაც ქართველს ძნელათ ვინმემ აჯობოს დაბრუნებისას-თურქების გადმოყრილი,-დაბეჭდილი ფურცლები ვნახეთ სადაც გერმანელები პოლონელებს და ჰპირდებოდენ აყვავებულ სამეფოს კანონისამებრ ყოველივე ვრცლათ უფროს ვაცნობე.

4 აპრილი. იოლა.

## რუსეთი.

### ჯარში.

მოსკოვის ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს კრებას დაესწრო პოლკ. გრუზინოვი, რომელმაც მოუწოდა ჯარის კაცებს და ოფიცრებს შეთანხმება. გრუზინოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის რამოდენიმე პოლკი ბრძოლის ველზე წასვლის უარს ამბობს, ზოგი მათგანი მოითხოვს ჯამაგირის გადიდებას, ზოგი კიდევ ახალ ჯარისკაცთა ორგანოების დაარსებასო. გრუზინოვმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არსებულ ჯარისკაცთა საბჭოების წინააღმდეგ მოქმედებენ, რაც მავნებელია სახელმწიფოს კეთილდღეობისთვისო.

### გენ. რუზსკის განცხადება.

გაზ. „უტრო როს“. თანამშრომელი ეწვია გენ. რუზსკის, რომელმაც თანამედროვე მომენტის შესახებ სხვათაშორის სთქვა; „პეტროგრადი ნერვიული ქალაქია, ის ტყუილად ფორიაქობს და აწუხლობს, თითქოს მტერი მის კედლებს ემუქრებოდეს. პირიქით, ამ [illegible] ბრძოლის ველზე საქმე თანდათან სწორდება და სასურველ კალაპოტში დგება. ამის შემდეგ პეტროგრადს ჰმართებს მხოლოდ პარტიულ უთანხმოების მოწესრიგება და საერთო ძალღონით საქვეყნო საქმის კეთება. [illegible]

მთავარ სამხედრო შტაბის შენობაში უცნობმა პირებმა კედლებზე გააკრეს ფურცლები, რომელზედაც ეწერა: „ქვეყნის ერთგულნო, მოჰკალით ლენინი, რომელიც რასპუტინსავით გერმანეთის მეგობრობსო“. მთავარ შტაბში ამ ამბავმა მღელვარება გამოიწვია. ფურცლები ჩამოახევინეს.

რედაქტორ გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.


**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დილით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | „ |
| „ | — ღამის | — 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის | — 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დილით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის | — 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დილით | — 5 ს. 20 | „ |


ს. ბუგეულის რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

# განახლდა

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე სოხაძე.**

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხნენკოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. მ. ასათიანი** ლეჩულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

## ავი სენი

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით. სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან, რა ავამყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას, გუბს და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშავის თავიდან ასაცილებლათ **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ. პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.


სტამბა „ძმობა“ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა.